

სწავლება 101

მეორე გამოცემა; გამომცემლობა Corwin SAGE, 2009 წელი. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016) 306 გვერდი. ფასი - 25 ლარი.

სწავლება 101 განსაზღვრავს, აღწერს და განმარტავს წარმატებული მასწავლებლისა და საუკეთესო სწავლების შესახებ თეორიასა და პრაქტიკას. ეს წიგნი, პირველ რიგში, დამწყები

მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი; წიგნი გააცნობს მომავალ ან დამწყებ მასწავლებლებს სწავლებასთან

დაკავშირებულ რჩევებს, რომლებიც წარმატების აუცილებელი პირობაა. წიგნი ასევე გააღრმავებს ცოდნას, რომელიც, შესაძლოა, უკვე გაქვთ. სწავლება 101 აგრეთვე დაგეხმარებათ, განავითაროთ და დაიცვათ თქვენი პროფესიული მსოფლმხედველობა.

სახელმძღვანელო ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: პირველი - მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა. იამაყეთ, რადგან თქვენ ხართ მასწავლებელი და თქვენი ზეგავლენა უსაზღვროა! ალბათ იმაზე მეტიც, ვიდრე თქვენ ფიქრობთ... მეორე პრინციპს სწავლების აქტიური მეთოდი წარმოადგენს. წარმატებული მასწავლებლები სცილდებიან გაკვეთილის ტრადიციულ გაგებას. ისინი მოსწავლეთა დაინტერესებას მათი სასწავლო პროცესში ჩართვის გზით ახერხებენ. წიგნში მკითხველის ჩართულობის მიზნით მრავალი ინტერაქტიული აქტივობაა მოცემული. და ბოლოს, მესამე პრინციპი - კრიტიკული აზროვნების გზით პიროვნების ინტელექტუალური თვალსაწიერის გაზრდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისადმი გახსნილობის ჩამოყალიბებაა.

